საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/255 " 29 " დეკემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 იანვრის №1/6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 იანვრის №1/6 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 69-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებისა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის №1/89 დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე - 1950 ლარი;
ბ) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე - 1900 ლარი;
გ) სააპელაციო სასამართლოს პალატის (კოლეგიის) თავმჯდომარე - 1800 ლარი;
დ) სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე - 1700 ლარი;
ე) თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 2250 ლარი;
ვ) თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე - 2150 ლარი;
ზ) თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - 2050 ლარი;
თ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 2250 ლარი;
ი) ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 2050 ლარი;
კ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 2250 ლარი;
ლ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 2050 ლარი;
მ) სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე - 1550 ლარი;
ნ) სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 1350 ლარი.“.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი